ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქი ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევი)
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 30.08.2021 წლის №5/54808 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ---- მარტის ---------- წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სარგებლობაში გადაცემის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 (შვიდი) ერთეული უძრავი ქონება, კერძოდ:

1. ქალაქი ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევის მიმდებარედ განთავსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №03.06.25.022; ფართობი: 3144.00 კვ.მ.).
2. ქალაქი ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევი №19 დ; ნაკვეთი №4-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №03.06.25.591; ფართობი: 6224.00 კვ.მ.).
3. ქალაქი ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევი №19 ე; ნაკვეთი №5-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №03.06.03.379; ფართობი: 4876.30 კვ.მ.).
4. ქალაქი ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევი №19 გ-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №03.06.25.594; ფართობი: 11582.00 კვ.მ.).
5. ქალაქი ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევი №19 ბ; ნაკვეთი №2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №03.06.25.593; ფართობი: 11483.00 კვ.მ.).
6. ქალაქი ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევი №19 ვ; ნაკვეთი №6-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №03.06.25.595; ფართობი: 5219.00 კვ.მ.).
7. ქალაქი ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევი №19 ა; ნაკვეთი №1-ში (03/390) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი№03.06.25.592; ფართობი: 5290.00 კვ.მ.).

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქი ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევში)
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 30.08.2021 წლის №5/54808 მომართვა, რომელიც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 25.08.2021წ. № MOD 7 21 00852375 წერილს, ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირზე, III შესახვევში მდებარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებ(ებ)ის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები №03.06.25.022, №03.06.25.591, №03.06.03.379, №03.06.25.594, №03.06.25.593, №03.06.25.595, №03.06.25.592) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნისიპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 (შვიდი) ერთეული უძრავი ქონების, კერძოდ ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევის მიმდებარედ, ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევი №19 დ-ში (ნაკვეთი №4), ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევი №19 ე-ში (ნაკვეთი №5), ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევი №19 გ-ში, ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევი №19 ბ-ში (ნაკვეთი №2), ქალაქი ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევი №19 ვ-ში (ნაკვეთი №6) და ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევი №19 ა-ში (ნაკვეთი №1 (03/390)) მდებარე უძრავი ქონებ(ებ)ის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის მიზნით, საკრებულო უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. 108-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა ,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მომართვის საფუძველზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მდებარე ქალაქი ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი III შესახვევში) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი მირზა მამასახლისი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი